# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს



## ძვირფასო დმანისელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!
თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.
„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.
ჩვენ მიერ წარდგენილი დმანისის მერობის კანდიდატისა და დმანისის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს დმანისის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.
ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს დმანისი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.
სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# დმანისის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, ხელისუფლების მიერ დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 2 მლნ 982 ათასი ლარი იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 6,2 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა 2 მლნ ლარი მიიღო, 2021 წლის მდგომარეობით, გადასახადებში შემოსავლების მაჩვენებელი 8,2 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**დმანისის მუნიციპალიტეტში,** 2015-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით **„დანერგე მომავალი“** 46 ჰექტარზე განხორციელდა 4 პროექტი (ჯამური ინვესტიცია 331 490 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, 592 ჰექტარი დაიზღვა (მოსავლის ღირებულება 1 980 075 ლარი), რითაც ისარგებლა 186-მა ბენეფიციარმა. ფერმერებისთვის სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გაცემულია 118 998 ლარი. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეისათვის მოქმედებს 21 კოოპერატივი (253 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 1 523 780 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტის** პროგრამით, 2013-2021 წლებში, ჯამურად 13 105 320 ლარის პროექტები განხორციელდა (სახელმწიფოს თანამონაწილეობა 1 333 711 ლარი), რითაც 222-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 1 პროექტი (ინვესტიცია 6 833 ლარი, თანადაფინანსება 2 733 ლარი). 2020 წლიდან ხორციელდება **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა,** რომლითაც 3 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამური ინვესტიცია 758 705 ლარი, სახელმწიფოს თანადაფინანსება 569 296 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში 5 472 832 ლარი დაიხარჯა და შედეგად გასარწყავებული მიწის ფართობი ბოლო წლებში – 0 ჰა-დან (2013 წელს) 2040 ჰა-მდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია (თურქულის, ჯილეხის, ბრუცელოზის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის, ცოფის საწინააღმდეგოდ), ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეულ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;
- ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.




### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.** ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე. **დმანისის მუნიციპალიტეტში** მეწარმეობის განსავითარებლად გაგრძელდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება.

**მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით**, დმანისის მუნიციპალიტეტში, „აწარმოე საქართველოში» მხარდაჭერით, 256 700 ლარის გრანტი გაიცა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 309 469 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 29 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოება – 16, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 13 პროექტი).

- მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;
- წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა.

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.** ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

**ქვემო ქართლის რეგიონში, 2012-2021 წლებში, ექსპლოატაციაში შევიდა:** 5 ჰიდროელექტროსადგური (პანტიანიჰესი, კაზრეთიჰესი, დებედაჰესი, მარნეულიჰესი, ორო ჰესი). სადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 9 მეგავატია, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 7 მლნ აშშ დოლარი. ასევე, ექსპლოატაციაში შევიდა 2 თბოელექტროსადგური (გარდაბნის თბოსადგური, გარდაბნის თბოსადგური 2) ჯამური დადგმული სიმძლავრით – 461 მეგავატი, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 410 მლნ აშშ დოლარი. **მშენებლობის ეტაპზეა** ხრამი ჰესი (1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 1,13 მგვტ); ჯანდარა ჰესი (1,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე 0,25 მგვტ); დუმან მაშავერა-ჰესი – სავარაუდოდ 2 712 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 1,96 მგვტ).

**ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ენერგეტიკული პროექტები:** ყიზილაჯლო ჰესი (5,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,10 მგვტ); მტკვარი კასკადი 4 (136 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 78,10 მგვტ); ხრამი ჰესი 3 (41 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 16,07 მგვტ); ხრამი ჰესი 4 (40 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 14,97 მგვტ); ხრამი ჰესი 5 (50 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 19,89 მგვტ); ქვემო ოროზმან ჰესი (1,3 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,63 მგვტ); მაშავერა ჰესი 3 (8 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,20 მგვტ); მაშავერა ჰესი 2 (8 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,02 მგვტ); ზემო ყარაბულახი ჰესი (1 960 000 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 1,03 მგვტ); ნახიდური ჰესი (16 მლნ. აშშ დოლარი დადგმ.სიმძლავრე 9 მგვტ); ხრამი 7 ჰესი (10,5 მლნ აშშ დოლარი დადგმ.სიმძლავრე 3 მგვტ).

**ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა ქარის ელექტროსადგურების პროექტები:** „პირველი 1 ქარის ელ.სადგური“ (62 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 30,00 მგვტ); „სააკაძე ქარის ელ.სადგური“ (28 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 15,00 მგვტ); მარტყოფის ქარის ელ.სადგური (69 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 50 მგვტ); სამგორის ქარის ელ.სადგური (4 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე – 8 მგვტ); „გარდაბნის ბიო-თბოელექტროსადგური“ (1,5 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 3,00 მგვტ).

დმანისის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 3 742 აბონენტი. ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომავალში კვლავ გაგრძელდება გაზიფიცირების სამუშაოები. 2013-2017 წლებში, **ელექტროენერგიის მიწოდების ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა სოფელ სოგუთლოს 18 ოჯახს.** 2 725 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განვითარების მიზნით,** დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევის პროექტი. 2015 წლი-



2020 წელს, დმანისის მუნიციპალიტეტის 57 სოფელში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 64 სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

დან დღემდე, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით, ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული, ან სამომავლოდ დასასაქმებელი პირებისათვის. მდინარე მაშავერას ხეობაში, ორ კოლაციაზე მოეწყო საპიკნიკე ინფრასტრუქტურა.

**ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით განხორციელდა შემდეგი პროექტები:** დმანისში გაიხსნა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი; დაიგეგმა და მოწესრიგდა ტურისტული მარშრუტები, მათ შორის, დმანისის ნაქალაქარი – პანტიანის ტბის მიმართულებით, დმანისის ნაქალაქარი – გორა-საკირეს მიმართულებით და სოფელ გომარეთის შემოგარენის მიმართულებით; მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა (ბილიკები, საპიკნიკე სივრცეები), განხორციელდა ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაცია.

- „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;
- 2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 62 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 101 კუბური მეტრი ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება.**



დმანისის სარიტუალო დარბაზი

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ავრცელებს ამინდის პროგნოზებს და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით;

- სამომავლოდ გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;
- გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;
- გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება და ეფექტიანობის ამაღლება, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით („ცხელი წერტილების“ კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);
- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;
- ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, დმანისში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 18 მლნ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 4 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ 836 ათასი ლარის კომპენსაცია გამოიყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად, მუნიციპალიტეტის 21 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 873 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, დმანისის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 2,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. დაგეგმილია წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:

- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში ჭაბურღილის, მაგისტრალური მილსადენისა და შიდაქსელის მოწყობა – 286 887 ლ;
- სოფ. ქვემო კარაბულახის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობა – 652 980 ლ;
- სოფ. ახალი გოდაგდაგის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობა – 512 583 ლ.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კობა მურადაშვილი: „დმანისი ყველაზე კარგი და განვითარებული მუნიციპალიტეტი იქნება“

**მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი მოგონებები დედულეთსა და მამულეთს – დმანისს უკავშირდება. ხშირად ახსენდება პაპის სიტყვები, სოფელი თუ არ არის ძლიერი, ვერც ქალაქი იქნებაო. სწორედ ამიტომ, მისთვის პრიორიტეტი რეგიონების, ქვემო ქართლის, უფრო კონკრეტულად კი დმანისის განვითარებაა.**

**განვითარების გეგმა უკვე აქვს, მაგრამ ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებებს მხოლოდ ადგილობრივებთან ერთად მიიღებს.**

**კობა მურადაშვილი ამაყობს, რომ დმანისის – პირველი ევროპელების ქალაქისა და მუნიციპალიტეტის – მერობის კანდიდატია, თანაც „ქართული ოცნებისგან“, გუნდისგან, რომელიც ქვეყნის განვითარებისა და ევროპის გზას ადგას.**



დაიბადა 1976 წლის 1 თებერვალს, თბილისში. დაამთავრა თბილისის №107 საჯარო სკოლა და შემდგომ სწავლა განაგრძო სამრეწველო-ეკონომიკურ ინსტიტუტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სამრეწველო ბიზნესის ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. აქვს მაგისტრის ხარისხი.

იმავდროულად, არის ხელოვანი და ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ეუფლებოდა ქართულ ხალხურ ცეკვებს. დამთავრებული აქვს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული უნივერსიტეტი, ქორეოგრაფის სპეციალობით.

1995-2021 წლებში მუშაობდა ძალოვანი სტრუქტურების სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის იყო შსს ქვემო ქართლის ორგანიზებულ დანაშაულთა ბრძოლის განყოფილების, ხოლო შემდგომ უკვე ქვემო ქართლის ანტიკორუფციული სამმართველოს უფროსი, რომლის უშაულო მოვალეობა გახლდათ კორუფციასა და სამოხელეო დანაშაულთან ბრძოლა. დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით – „ოცი წელი უმწიკლო სამსახურისთვის“.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

**– ბატონო კობა, დმანისის მუნიციპალიტეტთან რა გაკავშირებთ?**

– ჩემი მშობლები, ნინო ქრისტესიაშვილი და თარიმან მურადაშვილი დმანისელები არიან, სოფელ გომარეთიდან. 1976 წლის 1 თებერვალს დავიბადე თბილისში. იმ წელს განსაკუთრებით ცივი ზამთარი ყოფილა, ძალიან დიდი თოვლი მოსულა. ახალგაზრდა წყვილს აქ სახლი არ ჰქონდა და ჩამსვეს თურმე მანქანაში და წამიყვანეს დმანისში. ბებიებსა და პაპებთან ვიზრდებოდი. დედისა და მამის მშობლებს რიგრიგობით მივყავდი. სამწუხაროდ, არც ერთი არ არის ცოცხალი. დედა პროფესიით ეკონომისტი, ბუღალტერია, მამა კი, კავშირგაბმულობის სპეციალისტი. სკოლაში თბილისში მიმიყვანეს. ერთი სული მქონდა, როდის დაგვითხოვდნენ სკოლიდან, რომ მეორე დღესვე დმანისში წავსულიყავი. ორი უმცროსი ძმა მყავს, კახა და მამუკა. მე და კახა ხშირად ვჩხუბობდით. პაპა რომ მეტყოდა, წადი, ხბორები მოიყვანეთ, კახას ვეხვეწებოდი, წამომყოლოდა. მე ძალიან აქტიური ვიყავი, კახა – დინჯი. მამუკას კი, ფაქტობრივად ჩვენ ვზრდიდით. ზაფხულობით ძალიან ბევრნი ვგროვდებოდით – დეიდაშვილები, ბიძაშვილები. დიდი ჟრიამული გვქონდა. მამის მამას, შაშა პაპას მუნიციპალიტეტში ყველა იცნობდა, საგზაო ინჟინერი იყო. დედის მამას, გიგო პაპას, კოლმეურნეობის დიდი საბჭოთა მანქანით, მინდვრებში სამუშაოდაც დავყავდი. მეხალისებოდა. ყველა მიცნობდა და ყველას ვუყვარდი. გამრთობიც ვიყავი მათი და წყლის მიმტანიც. პაპამ თიბვაც მასწავლა და ისე კარგად გავიწაფე, დღეს ბევრ კარგ მთიბავსაც შევეჯიბრები. ქალბატონებსაც შევეჯიბრები ძროხის მოწველაში. სამაგიეროდ, ნახირში წასვლა მეზარებოდა. იქიდან ისეთი დაღლილი მოვდიოდი, ბავშვები კინოში რომ მიდიოდნენ, ვერ მივყვებოდი. ნახირში წასვლის რიგი რომ მოგვიწევდა, პაპას ვეუბნებოდი, ცოტა გაყიდე ეს ძროხები, რომ ასე ხშირად აღარ მოგვიწიოს წასვლა-მეთქი. რომ გავყიდო, თქვენ რძე და ყველი საიდან გაჭამოთ, ჭამეთ მერე კოოპერატივის პროდუქტიო, მეტყოდა. პაპა სულ მარიგებდა, სოფელი თუ არ არის, შვილო, ქალაქი ვერ იარსებებსო. ძალიან ბედნიერი ბავშვობა გავატარე დმანისში. იმ წლებს დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ.

**– არც პაპა-ბებიების პროფესიები აირჩიეთ და არც მშობლების. იურისტობა რატომ გადაწყვიტეთ?**

– შეიძლება გაგიჭირდეთ, მაგრამ უნდა დაიჯეროთ – ჩემ სოფელს, გომარეთს გარს აკრავს უზარმაზარი და ულამაზესი ნაძვების ტყე. ადამიანი რომ დაგემალოს ამ ტყეში, ვერ იპოვი. ბავშვებს გვქონდა მოფიქრებული ასეთი თამაში: იყო 3 პოლიციელი, დანარჩენები იყვნენ ყაჩაღები, რომლებიც ტყეში იმალებოდნენ. რატომღაც ყოველთვის კანონის დამცველი ვიყავი და ყოველთვის ვპოულობდი ტყეში დამალულ „ყაჩაღს“. წლების მერე გადავწყვიტე, სამართალდამცავის როლი ნამდვილად შემესრულებინა. იურიდიულზე ჩავაბარე და 19 წლის ასაკში, პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის დაცვის პოლიციის დეპარტამენტში დავიწყე მუშაობა. რთული პერიოდი იყო. ტრანსპორტი არ იყო და ზოგჯერ, წყნეთის სამთავრობო აგარაკებამდე ფეხით ავდიოდი. მიჭირდა, მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ როდესმე, სწავლა და შრომა აუცილებლად დამიფასდებოდა.

**– შეგიძლიათ პოლიციაში მუშაობის პერიოდიდან თქვენი ისეთი გადაწყვეტილება ან ქმედება გაიხსენოთ, რაც გეამაყებათ?**

– დიახ, შემიძლია გავიხსენო – ქალბატონი გამოვავლინეთ, მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. ის ქალბატონი დღესაც სასჯელს იხდის. სხვათა შორის, ეს საქმე შემდეგ გამოიყენეს ქართულ სერიალში „დეტექტივები“. იყო ისევ ქურდობის სერიის გამოვლენა, რაც ძალიან მეამაყება.

**– ანუ, ეს საქმე ისეთივე აზარტული აღმოჩნდა, როგორიც ნაძვების ტყეში „ყაჩაღების“ ძებნა იყო?**

– დიახ, მივხვდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ნამდვილი ყაჩაღების დევნა, ნამდვილი იარაღით, გაცილებით აზარტული იყო, თუმცა – უდიდესი პასუხისმგებლობაც, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ვინმესთვის ზიანი არ მიმეყენებინა. ამას ყოველთვის ვაქცევდი დიდ ყურადღებას. ეტყობა იმდენად მომზადებული ვიყავი, რომ ვინმეს როცა დავიჭერდით, ცივილურად ვშორდებოდით ერთმანეთს და აღიარებითი ჩვენებაც ბევრი გვქონდა.

**– დღეს ადამიანის კონსტიტუციური უფლებები დაცულია?**

– დღეს სამართალდამცავი სტრუქტურები გაცილებით ეფექტურად მუშაობენ. ადამიანის უფლებები დაცულია. თუმცა, მინდა ისიც ვთქვა, რომ ამხელა სტრესი და ნეგატივი პოლიციელების მიმართ, არასდროს ყოფილა. ეს ძალიან გულდასაწყვეტია. პოლიტიკაში არასოდეს ვერეოდი. რაღაც ეტაპზე სამსახურიდან წამოსვლა მომიწია. 2012 წელს კი, ისევ ქვემო ქართლში გარდაბნის სამმართველოში, განყოფილების უფროსად დავინიშნე. შემდეგ სხვადასხვა პოზიცია შევიცვალე. მოგვიანებით, ანტიკორუფციულ სამსახურში გადავედი, როცა „ქართული ოცნების“ ინიციატივით შეიქმნა. პირველი ხელმძღვანელი მე ვიყავი ქვემო ქართლის რეგიონში. ოპერატიულ სამსახურში იმხელა რესურსი მქონდა უკვე დახარჯული, ეს ახალი, საინტერესო გამოწვევა იყო. სამმართველოს უფროსად დავინიშნე. მაშინ გამგეობები იყო და მუნიციპალურ სისტემაში ძალიან კარგად გავერკვიე. სად შეიძლება, რომ საჯარო მოხელემ სახელმწიფო მოატყუოს. კარგად ვიცი, როგორ უნდა გამოავლინო.

**– რატომ გაგიჩნდათ სურვილი „ქართული ოცნების“ გვერდით დამდგარიყავით და დღემდე რატომ ხართ ამ გუნდის წევრი?**

– ამ გუნდს ვენდობი, ჩვენი პრინციპები, ღირებულებები თანხვედრაშია. ამიტომაც, დავთანხმდი შემოთავაზებას ვიყო პირველი ევროპელების ქალაქის მერი „ქართული ოცნებიდან“. შეხედეთ მუნიციპალიტეტების დონეზე რამდენი რამ არის გაკეთებული და რამდენი დაგეგმილია. ვერ ვხედავ სხვა გუნდს, პარტიას, ვის შეუძლია ასეთი სიწყნარით, მოთმინებით, უკეთე-





# მურადაშვილების დიდი ოჯახის ტრადიცია

მომავალი მეუღლე ლია მურადაშვილი თბილისში, მეგობართან გაიცნო. იმ დღესვე მოიხიბლა და ოპერატიული სამსახურის თანამშრომელმა, „ინტერესის ობიექტის" შესახებ ინფორმაციის შეგროვება დაიწყო. მერე მოვლენები საკმაოდ სწრაფად განვითარდა. დაახლოვდნენ, ურთიერთობა აეწყოთ. ყოველთვის გრძნობდა, რომ რჩეულსაც მოსწონდა, თუმცა ქალი სიყვარულში არ გამოსტყდომია. გაცნობიდან დაახლოებით 1 წელში იქორწინეს კიდეც. ქალბატონი ლიკა მედიცინის სფეროს წარმომადგენელია – სამედიცინო დეპარტამენტში სადაზღვევო მიმართულებით, მენეჯერად მუშაობს.

წყვილს ტყუპი ჰყავს. როცა შეიტყო, შვილი ეყოლებოდა და თანაც – ორი, სიხარულით ცას ეწია. ბიჭები რომ დაიბადნენ, ბედნიერების პიკს მიაღწია. ბავშვობაში ძალიან ცელქები იყვნენ. დღეს კი, 17 წლის ასაკში, ხასიათი შეცვლილი აქვთ – ირაკლი და ნიკა ზომიერად დინჯები, მიზანდასახულები, ნიჭიერები და მზრუნველები არიან. რაგბის საკმაოდ წარმატებით თამაშობენ თბილისის „ლელოში". ლიგაც მოიგეს და მედლებიც აქვთ აღებული. ცდილობენ, მაქსიმალურად შეუთავსონ სპორტს სწავლაც, რადგან ორივეს, მამის მსგავსად, იურისტობა აქვს გადაწყვეტილი. არჩევანში თავისუფლები არიან. ბატონი კობა ამბობს, თავად გადაწყვეტენ, სპორტულ კარიერას გააგრძელებენ, შეათავსებენ თუ იურისტები გამოვლენო. სხვათა შორის, ბატონი კობა იმაშიც გამოგვიტყდა, კარგი იქნება რომელიმე შვილი აგრარული მიმართულებით თუ წავა, დმანისში გამოგვადგებაო. „დმანისში არის აგრარული სასწავლებელი „კავკასია", სადაც აგრომიმართულებით პროფესიებს ასწავლიან. აქ არაჩვეულებრივი გარემოა შექმნილი. ვფიქრობ, პროფესიული სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. ვნახოთ ბიჭები რა მიმართულებას აირჩევენ. ჯერ ექსპერიმენტს ატარებენ – სპორტისა და სწავლის შეთავსებას ცდილობენ", – ამბობს ბატონი კობა.

ასეთი ექსპერიმენტი თვითონ უკვე ჩაატარა. ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული უნივერსიტეტი დაამთავრა. 16 წელი ცეკვავდა, მაგრამ შემდეგ არჩევანის გაკეთება სწავლის სასარგებლოდ მოუწია.

თავისუფალ დროს ძირითადად ოჯახის გარემოცვაში ატარებს. მურადაშვილების დიდი ოჯახის ტრადიცია 6 მაისს უკავშირდება. გიორგობას, ბოროტებაზე გამარჯვების დღესასწაულს, აუცილებლად დმანისში აღნიშნავენ. ამ დროს ყველაზე ბედნიერები კანდიდატის მშობლები არიან. შეძლეს და სამივე შვილი წარმატებული, კაცთმოყვარე აღზარდეს. შემოუსხდებიან დედას ძმები მურადაშვილები და იხსენებენ, როგორი მკაცრი იყო მათ მიმართ, როცა საქმე სწავლასა და ზრდილობას ეხებოდა. დედა იმასაც მუდმივად აკონტროლებდა, ბიჭებს სიგარეტი არ მოეწიათ. დედამ მათი პიროვნებების ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანა, ამიტომ ცდილობენ, მუდმივად ასიამოვნონ და ყველა სურვილი აუსრულონ. მაგრამ არის ერთი რამ, რაც ვერ აუსრულეს – სამი ბიჭის დედა გოგოზე ყოველთვის ოცნებობდა. ბიჭებს სულ ეუბნებოდა, ნეტა თქვენ მაინც გეყოლებოდეთ გოგოო. კობა და კახა მურადაშვილებს 2-2 ბიჭი ჰყავთ, ბატონ მამუკას – 3. „როცა მე და კახა ორ-ორი ბიჭით, მამუკა 3 ბიჭით შევიკრიბებით დმანისში, სადაც მამაც დაგვემატება, 11-ნი გამოვდივართ. ჩამოჯდება ხოლმე გოგოს ნატრული დედაჩემი 11 კაცში და ვეხუმრები, გენატრა ბიჭი, იქნებ გოგოც გამოგვრეოდა-მეთქი", – გვიამბობს ბატონი კობა და იმასაც გვიმხელს, რომ მისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, ისეთი ცხოვრებით იცხოვროს, დიდი ოჯახის თითოეული წევრი მისით ამაყობდეს. დარწმუნებულია არჩევნებში გაიმარჯვებს და დმანისის მერი გახდება. მხარდაჭერას ქართლელებისგანაც ელის, აქ მაცხოვრებელი სვანებისგანაც, რომლებიც ასევე უზომოდ უყვარს – მათთან ნათელმირონობაც აკავშირებს და ეთნიკური აზერბაიჯანელებისგანაც, რომლებსაც ასევე დიდ პატივს სცემს და ემეგობრება. ამ ფონზე, უკვე იცის, როგორი იქნება მისი დღის წესრიგი 2 ოქტომბრის მერე – მეორე დღიდანვე დმანისზე და დმანისელებზე ზრუნვა უნდა დაიწყოს, თავდაუზოგავად უნდა იშრომოს და მშობლიურ მუნიციპალიტეტში ისეთი რამ უნდა გააკეთოს, რომ კარგი სახელი დატოვოს და დმანისელებს თავი „საუკეთესო მერად" დაამახსოვროს.

სი ალტერნატივის შემოთავაზება? 45 წლის ვარ და პირველად ჩავერთე პარტიულ თემებში. დიდი პატივია, რომ ამხელა ნდობა გამომიცხადეს. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ასეთ წარმატებულ და პატრიოტ გუნდთან ერთად, მომეცა საშუალება, ჩემი დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, მშობლიურ მხარეს, ჩემს დმანისს მოვახმარო.

**– რა გამოწვევების წინაშე დგანან დღეს დმანისელები და თქვენ რა გეგმები გაქვთ?**

– მე ჩემ დმანისელებთან მივდივარ მარტივი გეგმებით. რამდენიმე თვის წინ ინციდენტი მოხდა დმანისში. გულთან ძალიან მივიტანე, რომ საყოფაცხოვრებო თემაზე დაწყებული ჩხუბი, დიდ კონფლიქტში გადაიზარდა. პირველი, რაც მინდა, დმანისელების ისეთი შერიგება, რომ ერთმანეთს ვეჯიბრებოდეთ სიყვარულში. მეორე, 85 კილომეტრია თბილისიდან ქალაქ დმანისის ნაქალაქარამდე, შესანიშნავი ფლორა-ფაუნით, მთებით, მდინარეებით, მაგრამ უქმეებზე თუნდაც დედაქალაქიდან აქ არ ჩამოდიან ვიზიტორები. ამის მიზეზი უპირველესად ის არის, რომ საქართველოშიც კი არ იცნობენ დმანისის დიდ პოტენციალს. არც ინფრასტრუქტურაა სათანადოდ მოწყობილი. მიხარია, რომ ცენტრალური გზა გაკეთდა, გაზიფიცირება მოხდა, მაგრამ უნდა განვავითაროთ ტურისტული ინფრასტრუქტურა. საოჯახო სასტუმროები მინდა, რომ გაკეთდეს. მთავრობას აქვს ძალიან კარგი პროექტი, მინიმუმ სამნომრიან სასტუმროზე „უმასპინძლე საქართველოში". ძალიან მარტივად შეუძლიათ ადამიანებს, გააკეთონ საოჯახო სასტუმრო, მიიღონ ვიზიტორები, შესთავაზონ ნატურალური პროდუქტი, არაჩვეულებრივი პური, რომელსაც აქ აცხობენ და საოცარი სურნელი აქვს და მიიღოს შემოსავალი. ამ პროგრამების შესახებ მოსახლეობას მაქსიმალურად უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია. გაკეთდა სკვერები, მაგრამ კარგი იქნება ავაშენოთ თუნდაც ერთი სპორტული კომპლექსი, რომ ახალგაზრდებმა ივარჯიშონ. არადა, დმანისში იყო ძალიან კარგი სპორტ დარბაზები. მახსოვს, აქ ჭიდაობის ორთაბრძოლები იმართებოდა ხოლმე და ვესწრებოდი. დარწმუნებული ვარ, მერი ვიქნები. პირველივე ტურში გავიმარჯვებ, იმიტომ, რომ სიმართლის მხარეს ვარ და სჭირდება ამ რაიონს ცვლილებები. ძალიან მოტივირებული ვარ. მინდა განვითარდეს მუნიციპალიტეტი. ამისთვის საჭიროა ინფრასტრუქტურა, ახალგაზრდებისთვის პირობების შექმნა, რომ აქედან წასვლის სურვილი არ გაუჩნდეთ და ვინც წასულია, დაბრუნდეს და იცოდნენ, რომ ყველაზე კარგ და ევროპულ ქალაქში იცხოვრებენ. მე მხოლოდ იმ გზით ვივლი და იმას გავაკეთებ, რის გაკეთებასაც ისინი საჭიროდ ჩათვლიან. ჩვენ და ჩვენს გუნდს დღეს აქვს უპრეცედენტო მხარდაჭერა ჩვენი პრემიერის, ჩვენი მთავრობის, ჩვენი პოლიტიკური გუნდის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გვაქვს შანსი, ჩვენი მუნიციპალიტეტი, ჩემი დმანისი გახდეს რეგიონში ყველაზე კულტურული და სამეცნიერო ცენტრი. ეს პირდაპირ აისახება თითოეული დმანისელის ოჯახზე, კეთილდღეობაზე.

**– ბატონო კობა, როგორ ფიქრობთ, მოგიწონებდნენ პაპა-ბებიები მეროობისთვის ბრძოლის გადაწყვეტილებას?**

– შაშა პაპას ყოველთვის დავყავდი სხვადასხვა ღონისძიებაზე, რომელიც იმართებოდა მუნიციპალიტეტში. ბევრ ეთნიკურ აზერბაიჯანელს რომ ვხვდებოდით, პაპა სულ მეუბნებოდა, ისწავლე, კობა, ამათი ენა, ცხოვრებაში რა იცი, რა დროს გამოგადგესო.

**– ისწავლეთ?**

– კარგად არა, მაგრამ ელემენტარული ვიცი.

**– როგორი ურთიერთობა გაქვთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან და მათი მხარდაჭერის იმედიც გაქვთ?**

– ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდათ და აქვთ ჩემი, გომარეთის თემის მოსახლეობის მიმართ. ამ თემის მოსახლეობაც განსაკუთრებულ პატივს სცემს აზერბაიჯანელებს. მეც მიყვარს ჩემი აზერბაიჯანელები. მინდა, აზერბაიჯანულ დიდ სოფლებში იყოს კარგი ბაღები, სკოლები, მინდა ბავშვები იყვნენ ინტეგრირებული და ქართული კარგად იცოდნენ. დავეხმარები, რომ მათი შვილები იყვნენ წარმატებულები. და რაც მთავარია, ჩემი უპირველესი საზრუნავი იქნება, კომპანია „სოკარის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება. ამ კომპანიამ გააკეთა ჩვენთან დაქსელვა და გაზიფიცირება მოხდა, მაგრამ არის დარჩენილი რამდენიმე სოფელი, სადაც ძირითადად ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ და სადაც ბუნებრივი აირი ჯერ არ არის. მინდა, ვთხოვო მათ, რომ ამ სოფლებშიც გაკეთდეს გაზიფიცირება. ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელების ინტერესების დასაცავად მაქსიმუმს გავაკეთებ. დარწმუნებული ვარ, ისინი გრძნობენ ჩემ დამოკიდებულებას, განცდას, გრძნობენ ჩემ სიყვარულს და მხარს დამიჭერენ.



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**



2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **დმანისის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილი 21 791 810 ლარით დაფინანსდა 34 420 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1 011 850,7 ლარით 79 188 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (1 585 643 ლარით 18 591 მეტი შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (14 117 521 ლარით 8 970 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (3 067 632 ლარით 2 609 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 293 129 ლარით 2 307 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (934 773 ლარით 1 567 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით **დმანისში** დაფინანსდა 1 323 ბენეფიციარი (77 151 ლარი).

2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი **დმანისის მუნიციპალიტეტში** 2019 წ. – 90%-ით, ხოლო 2020 წ. – 59,9 %-ით გაიზარდა.

**ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **დმანისში,** სტაციონარული მკურნალობით 93-მა (290 507 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 709 პაციენტმა (92 683 ლარი) ისარგებლა.

**დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, დმანისში, ანტენატალური სერვისი მიიღო 3 082-მა ორსულმა (165 037 ათასი ლარი), მედიკამენტები – 736-მა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **დმანისის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 140 პირი (26 209 ლარი).

2012 წლის შემდეგ, დმანისის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა სამედიცინო მომსახურების **დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში** (ფსიქიკური ჯანმრთელობა, დიაბეტის მართვა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, რეფერალური მომსახურების პროგრამები).

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **დმანისის მუნიციპალიტეტს 20 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**



**41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო**

### ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში -გომარეთი (27 762 ლ), ოროზმანისი (43 300 ლ), კამარლო (25 100 ლ), ახალი ამბულატორია აშენდა სოფელ ამამლოში (91 077 ლ), ამბულატორია მოეწყო სოფელ გუგუთის ადმინისტრაციულ შენობაში (91 302 ლ), აშენდა ქ. დმანისში, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპური შენობა.

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები კი – 43,0 ათასიდან 67,1 ათას ლარამდე.**

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პროგრამა,** რომლის ფარგლებშიც ხორციელდება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა, ეპიდზედამხედველობა, იმუნიზაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და სხვ.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **დმანისის მუნიციპალიტეტში,** პენსიის მიმღები (01.04.2021 მდგომ.) 4 419 პირია. 2012 წლის შემდეგ, პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 2,2-ჯერ – 5 416 269-დან 12 118 012 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 75 710 559 ლარი დაიხარჯა. 2013 წლიდან დაზუსტდა **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **დმანისში,** კომპენსაციის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 53 პირი. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 2,7-ჯერ – 88 769-დან 265 016 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, სულ 1 765 149 ლარი შეადგინა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **დმანისის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 754 ოჯახია (01.04.2021 მდგომ.). 2012 წლის შემდეგ საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 5-ჯერ, 792 ათასიდან 4 037 ათას ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში (ივლისის მდგომ.) საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 19 628 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 4 364 ათასი, შშმ პირებზე -1 038 ათასი, ბავშვებზე – 8 607 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **დმანისში** სოციალური პაკეტით სარგებლობს 827 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომარეობით), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,3-ჯერ – 216 918-დან 1 376 710 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 8 864 653 ლარი.



**მუნიციპალიტეტში 381 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.).** 2012 წლის შემდეგ, შემწეობებზე გაწეული ხარჯი 169 176-დან 203 850 ლარამდე გაიზარდა და 2013-2021 წლებში სულ 1 796 988 ლარი დაიხარჯა. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართები 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **დმანისში** დაკმაყოფილდა 47 ოჯახი – პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 40 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 7 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. საქართველოს მასშტაბით, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **დმანისში** დაფინანსებულია 305 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 753 700 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 453 300 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან დმანისის მუნიციპალიტეტზე – 1 852 860 ლარი.

**სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). დმანისში, 2020 წელს, პროგრამაში, ჩართული იყო 817 ოჯახი, 2021 წელს – 950.

**ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, დმანისში, 2020 წელს ისარგებლა 363-მა, 2021 წ. – 414-მა ოჯახმა (ივნისის მონაც.).

**მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), დმანისში პროგრამაში ჩაერთო 2020 წ. – 185 პირი, 2021 წ. – 191 (ივნისის მდგომ.).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება 5-ჯერ გაიზარდა, სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 130,3 ათასიდან 663,1 ათასი ლარი შეადგინა.**

**2012 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა,** მათ შორის: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარების მუნიციპალური პროგრამა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების მუნიციპალური პროგრამა, ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების მუნიციპალური პროგრამა, ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობი შეშით ან ბიოსაწვავი „ბრიკეტით") უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა, ავადმყოფთა და შშმ პირთა სოციალური დაცვა და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორ-



ვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

დმანისში ფუნქციონირებს 9 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (2 – ქ. დმანისში, 7 – სოფლად: გომარეთი, სარკინეთი, განთიადი, ჯავახი, ბოსლები, ვარდისუბანი, მაშავერა).

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო.** მნიშვნელოვნად გაიზარდა დმანისში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების **დაფინანსება:** 2020 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განთლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა **1 მლნ 424,4 ათასი** ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 167 ათასი ლარი იყო;

**2014-2021 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს – 2014-2015 წ.წ.** ქ. დმანისისა და მუნიციპალიტეტის სოფლების საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციაზე, სულ 567,7 ათასი ლარი დაიხარჯა. **2016 წელს**: გაიხსნა საბავშვო ბაღი სოფელ ბოსლებში, ქ. დმანისის №1 საბავშვო ბაღს დაემატა მეოთხე ჯგუფი, შეიცვალა საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემები, 5 საბავშვო ბაღში მთლიანად შეიცვალა შენობის სახურავი, კარ-ფანჯარა, ცენტრალური გათბობის სისტემა დამონტაჟდა 8 საბავშვო ბაღში. **2017 წელს** გაიხსნა სოფელ სარკინეთის საბავშვო ბაღი, შიდასარემონტო სამუშაოები შესრულდა 3 საბავშვო ბაღში; რეაბილიტირდა და კეთილმოეწყო დმანისის №1 საბავშვო ბაღი (89,1 ათასი ლარი), ვარდისუბნისა და გომარეთის საბავშვო ბაღებში მოეწყო სასმელი წყლის ხაზი (17,9 ათასი ლარი), რეაბილიტაცია ჩაუტარდა და გაიხსნა სოფელ სარკინეთის საბავშვო ბაღი (31 147 ლარი); **2019 წელს** საბავშვო ბაღებისათვის შეიძინეს საჭირო ინვენტარი და 4 საბავშვო ბაღში დამონტაჟდა ეზოს ატრაქციონები, ყველა საბავშვო ბაღში განხორციელდა გამრიცხველიანება და ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვა, გადამზადდნენ თანამშრომლები.

**2020-2021 წლებში დასრულდა რეგიონული განვითარების ფონდის პროექტები –** ქ. დმანისის №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 489 913 ლარი დაიხარჯა, ქ. დმანისის №2 საბავშვო ბა-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ღის რეაბილიტაციაზე – 559 995 ლარი; განთიადის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 2020 წელს – 395 834 ლარით დაფინანსდა, 2021 წელს – 134 328 ლარით (მრავალწლიანი პროექტი).

**2021 წელს, რეგიონული განვითარების ფონდი, მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ატარებს განთიადის, დმანისის (2 საბავშვო ბაღი), ვარდისუბნის, მაშავერასა და სარკინეთის საბავშვო ბაღებში, რაზეც ჯამურად 1,7 მილიონი ლარი იხარჯება, მათგან,** ქ. დმანისში, №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 193 912 ლარით დაფინანსდება, ვარდისუბნის საბავშვო ბაღის – 527 777 ლარით, მაშავერaს საბავშვო ბაღის – 349 000 ლარით; სარკინეთის საბავშვო ბაღის – 443 073 ლარით; ქ. დმანისის №3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე კი 387 992 ლარი დაიხარჯება;

**შესრულებული სამუშაოების შედეგად** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 223-დან 337 აღსაზრდელამდე გაიზარდა. ასევე **3,5** ლარამდე გაიზარდა **კვების** თანხა თითოეულ აღსაზრდელზე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი. საბავშვო ბაღებს ერთი ექთანი ემსახურება. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია ქ. დმანისის №1 საბავშვო ბაღის ორ ჯგუფში, სადაც სასკოლო ასაკის 42 აღსაზრდელია ჩართული. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 16 აღმზრდელ-პედაგოგი, მათგან სასკოლო მზაობის ჯგუფებში – 2 აღმზრდელ-პედაგოგი.

## ზოგადი განათლება

**დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 27 საჯარო სკოლა** (ქალაქში – 3, სოფლად – 24), სადაც 2847 მოსწავლე, 482 მასწავლებელი და 13 სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 32 სსსმ მოსწავლე. 3 საჯარო სკოლას 6 მანდატური ემსახურება. 5 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი (2 ექიმი, 1 ფსიქოლოგი). არაქართულენოვან საჯარო სკოლებში ქართულის, როგორ მეორე ენის 55 კონსულტანტ-მასწავლებელია.

**ზოგადი განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, დმანისის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის:**

პროგრამაში **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“** საზაფხულო სკოლებში, 2014-2019 წლებში, 131 მოსწავლე მონაწილეობდა, 2013-2020 წლებში, **„სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის“** პროგრამით განხორციელდა 32 სასკოლო პროექტი, 2017-2019 წლებში, დაფინანსდა სასკოლო აქტივობების 17 პროექტი. **„ახალი სკოლის მოდელით“** 2019 წელს, 2 სკოლას 64 ლეპტოპი გადაეცა. **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამის** ფარგლებში, 2019 წ. 15 კომპიუტერი გადაეცა 2 სკოლას. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** დმანისის საჯარო სკოლების აღჭურვის 2 და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** საჯარო სკოლების უზრუნველყოფის 57 პროექტი განხორციელდა. 2019 წელს, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით** 4 საჯარო სკოლა აღიჭურვა. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“, 2013-2019 წლებში,** პირველკლასელებს საჩუქრად 1815 კომპიუტერი გადაეცათ, დამრიგებლებს – 150. **„წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების“** პროგრამით, კომპიუტერებით დასაჩუქრდა 47 მოსწავლე. **ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** ჩართულია 17 საჯარო სკოლის (37 მიმართულება) 429 მოსწავლე. **2017-2020 წლებში,** სკოლებში უსასყიდლოდ დარიგდა **1051 სასკოლო ჟურნალი და** 46 523 **სახელმძღვანელო**. **2013-2019 წლებში,** დმანისის საჯარო სკოლებში, საერთო ჯამში, 64 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. **2014-2019 წლებში,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 37 პროექტი განხორციელდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით,** დმანისის მუნიციპალიტეტიდან კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგმოდულები.

**2013-2021 წლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით:** საჯარო სკოლების **ნაწილობრივი რეაბილიტაციის** 26 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 10 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლა. მათ შორის: **2013 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 საჯარო სკოლას, რაზეც სულ 570,8 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 საჯარო სკოლას – სულ 354,1 ათასი ლარი; **2015 წელს** განხორციელდა 2 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და 2 საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახები, რაზეც სულ 50,8 ათასი ლარი დაიხარჯა; **2016 წელს** განხორციელდა 2 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია – სულ 17,4 ათასი ლარი. **2017 წელს მუნიციპალიტეტის სკოლებში** მოეწყო სამედიცინო ოთახები, ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, გარემონტდა გათბობის სისტემა. **2018 წელს** – 17 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ჯამურად 1 მლნ 635 ათასი ლარით დაფინანსდა. **2019 წელს რეაბილიტირდა** ადმინისტრირების სკოლის გათბობის სისტემა (14,2 ათასი ლარი). დიდი დმანისის სკოლის შენობაში ჩატარდა ცენტრალური გათბობის სისტემისა და საპირფარეშოების რეაბილიტაცია, მოეწყო პანდუსი (სულ 67, 6 ათასი ლარი); დმანისის №1, №2, №3 სკოლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა საპირფარეშოებს, საკანალიზაციო და ცენტრალური გათბობის სისტემებს (283,4 ლარი), ხოლო ირგანჩაის საჯარო სკოლაში – სამკითხველო ოთახს (2 785 ლარი). **2020 წელს, სკოლების სახელმწიფო პროგრამით** განხორციელდა სოფ. კიზილაჯლოს საჯარო სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაცია (20 ათასი ლარი); 2 სკოლაში მოეწყო ცენტრალური გათბობა (197,1 ათასი ლარი); 7 სკოლაში – სველი წერტილები (სულ 508,8 ათასი ლარი.

## უმაღლესი განათლება

**უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით,** 2013-2017 წლებში, სოციალური პროგრამის ფარგლებში, **დაფინანსდა 80 სტუდენტი,** რომლებიც ბოლო სამი წელი სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს **დმანისის მუნიციპალიტეტში** არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

**2018 წლიდან, სოციალური პროგრამის ფარგლებში,** დაფინანსება მოიცავს მთლიანად ქვემო ქართლის რეგიონის (ბოლნისის, გარდაბნის, **დმანისის**, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები) მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლის სკოლის კურსდამთავრებულთა დაფინანსებას. **2018-2019 სასწავლო წელს,** ქვემო ქართლის რეგიონიდან დაფინანსდა 27 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წელს – 27 სტუდენტი. 2020-2021 სასწავლო წელს – 27 სტუდენტი. სტუდენტთა დაფინანსების სოციალური პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება.

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- სისტემური ცვლილებები ყველასთვის ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უზრუნველმყოფი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ხელი შეეწყობა ხელმისაწვდომობის ზრდას ხარისხიან ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე;
- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- დაგეგმილია სოფელ ჯავახის საბავშვო ბაღის შენობის კაპიტალური რემონტი;
- 2021 წელს, ეტაპობრივად განხორციელდება ყველა საბავშვო ბაღის შენობის კაპიტალური რემონტი სტანდარტების შესაბამისად, გადამზადდებიან თანამშრომლები;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას;
- განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, განხორციელდება დმანისში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლისმიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**




## კულტურა

**დმანისში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ა(ა)იპ დმანისის საბიბლიოთეკო გაერთიანება (სოფელ გომარეთის, განთიადის, ამამლოს და დიდი დმანისის ფილიალები), ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი. ცენტრში ფუნქციონირებს: ვაჟთა ანსამბლი „შგარიდა“ ,ქალთა ანსამბლი „ირინოლა“, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „კიდევაც დაიზრდებიან“; ბავშვთა სამეჯლისო და სპორტული ცეკვების ანსამბლი „დანსი“; ინტერნაციონალური ანსამბლი „დმანისური აისი“.

მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს. კულტურისა და სპორტის სამინისტროს მართვაში არსებული, სსიპ ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

დმანისის ნაქალაქარში, სადაც უძველესი ადამიანების (მათ შორის „ზეზვას და მზიას“) ნაკვალევია აღმოჩენილი, ღია ცისქვეშ მოწყობილია უნიკალური მუზეუმი. ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა №56-ში ფუნქციონირებს არქეოლოგიური მასალების საგამოფენო სივრცე, ექსპოზიციებში წარმოდგენილია უნიკალური არქეოლოგიური მასალა.

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივები 248 ათასიდან 488,4 ათას ლარამდე გაიზარდა.**

2014-2021 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში იმართებოდა ფესტივალები და სპექტაკლები, ეწყობოდა ახალი წიგნების განხილვა-გამოფენები, ტარდებოდა მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. 2021 წლის 2 აგვისტოს, კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, კავშირი „არტ-გენისა“ და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის თანაორგანიზებით, ქალაქ დმანისში, პანტიანის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, რიგით მე-18 ყოველწლიური **ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის არტ-გენის რეგიონული ტურნე გაიმართა.** ფესტივალის მიზანია ქართული შემოქმედების პოპულარიზაცია და ძველი ტრადიციების – ქართული სიმღერა, ცეკვა და ძველი საბრძოლო ხელოვნება-გაცოცხლება, ასევე, უცნობი ოსტატების ნამუშევრების შეკრება და საზოგადოებისთვის გაცნობა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა რეგიონული დათვალიერება, რომელიც მოიცავდა ფოლკლორულ კონცერტსა და ხალხური რეწვის საგამოფენო სივრცეებს. მოეწყო ქართული საბრძოლო ხელოვნების „ჰოროლის“ შოუ. არტ-გენის რეგიონული ტურნე დასრულდა ბენდ „ჩვენებურებისა“ და ლელა ნაყეურის კონცერტით..

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** ქ. დმანისის მუსიკალური სკოლის შენობის სახურავის მოწყობა, ცენტრალური ბიბლიოთეკისა და სამუსიკო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ცენტრალური ბიბლიოთეკისა და სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოს შესყიდვა, მუსიკალური სკოლის რემონტი, კულტურის სახლთან არსებულ მუზეუმში სველი წერტილის მოწყობა, რაზეც ჯამურად 200 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა.

**2016-2017 წლებში**, განხორციელდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური ლაბორატორიის საფონდო ნაგებობების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რაც 170,2 ათასი ლარით დაფინანსდა.

განხორციელდა აბულმუგის ეკლესიის რესტავრაცია.

**მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შემდეგი პროექტები განახორციელა:** საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია-კვლევა.

**2019 წელს**, მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის დმანისის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები: **„უძველესი ცივილიზაციების კვალდაკვალ“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი 9,8 ათასი ლარი), **„ციხესიმაგრეები – მომავლის მცველები”** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 16,2 ათასი ლარი).

დმანისის მუნიციპალიტეტს ფარავს „გერმანული დასახლებების მარშრუტი“, რომელიც ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს.

**2020 წელს** ჩატარდა დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგია;

დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი საქართველოს ეროვნული მუზეუმის სტრუქტურული ერთეულს წარმოადგენს. 2017-2021 წლებში, დმანისის უნიკალური არქეოლოგიური მასალა 20 783 დამთვალიერებელმა იხილა.

**2017-2020 წლებში**, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ კულტურული მემკვიდრეობის სფეროს განვითარების მიმართულებით განხორციელებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია – 2018 წელს, გერმანიაში, ზენკენბერგის საბუნებისმეტყველო მუზეუმში (Naturmuseum Senckenberg) საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენა „Homo georgicus - თავის ქალა პირველი ევროპელების სამშობლოდან” , რომელზეც წარმოდგენილი იყო დმანისში აღმოჩენილი 1 800 000 წლის წინანდელი ჰომინინის ნაშთები. ღვინისა და ოქროს წარმოების შესახებ მოთხრობილი იყო არქეოლოგიის მუზეუმში (Archäologisches Museum Frankfurt am Main), სადაც გამოიფინა ექსპონატები ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანის ჩათვლით.

## სპორტი

**დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის სასპორტო სკოლა.**

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სპორტის ხარჯების გეგმური მაჩვენებელი 100 ათასიდან 144,0 ათას ლარამდე გაიზარდა.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია:** ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, სამბო, ქართული ჭიდაობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, კრივი და კარატე. აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები (2016 წელი): მსოფლიო პირველობა სამბოში (ჭაბუკები) – ვერცხლის მედალი; საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში, 1 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი (ეროვნულ ნაკრებში მოხვდა 3 სპორტსმენი). (2018 წელი): ანზორ მარგველანის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში, 1 პირველი და 1 მესამე ადგილი; აკაკი ოქროპირიძის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში – 1 მეორე ადგილი; ამირან მაისურაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში – 1 მესამე ადგილი; საერთაშორისო ტურნირი სამბოში – 3 პირველი, 1 მეორე და 6 მესამე ადგილები; რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში – 1 მეორე და 1 მესამე ადგილები; ნოდარ ბეკურაშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში – 1 მესამე ადგილი.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** სოფ. ჯავახის მინისტადიონის მოწყობა (16,2 ათასი ლარი); სოფ. მთისძირის მინისტადიონის მოწყობა (8,3 ათასი ლარი); ქ.დმანისში ფეხბურთის მოედანზე სკამებისა და გასახდელების მოწყობა (81,2 ათასი ლარი).

**2017 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. დმანისის სპორტულ სკოლას – 23,4 ათასი ლარი.

**2018 წელს** მრავალფუნქციური მინისტადიონები მოეწყო სოფლებში: ბოსლები (45 000 ლარი); მაშავერა (70 000 ლარი); ჯავახი (80 ათასი ლარი); ვარდისუბანი (80 000 ლარი).

**2019 წელს დასრულდა:** სოფელ განთიადში მინისტადიონის რეაბილიტაცია – 12,9 ათასი ლარი; სოფელ გომარეთში კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერისა და მინისტადიონის მოწყობა – 394,4 ათასი ლარი; ქალაქ დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩაზე არსებული მინისტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 150,2 ათასი ლარი.

**დასრულდა:** სოფელ მაშავერაში მინისტადიონისა და სკვერის მოწყობა – 214 ათასი ლარი; სოფელ ბოსლების მინისტადიონის მოწყობა-შემოღობვა – 218 ათასი ლარი; სოფელ ვარდისუბანში სკვერისა და მინისტადიონის მშენებლობა – 512,5 ათასი ლარი. ქ. დმანისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, სტადიონისა და სკვერის მოწყობა – 493,5 ათასი ლარი; სოფელ ჯავახში მინისტადიონისა და სკვერის მოწყობა – 452 ათასი ლარი.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, დმანისის მუნიციპალიტეტში, 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (დაიხარჯა – 13,2 ათასი ლარი).

**2018-2020 წლებში, განხორციელდა მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა,** რომელიც მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით,** მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა პროექტები განახორციელეს: „ტრადიცია-ეროვნული საგანძური სვანური ტრადიციული ჭიდაობა „ლიბრგელის“ აღდგენა-განვითარება“ (14,5 ათასი ლარი); „მოსიარულე ბიბლიოთეკა – წიგნი ყველა სოფელს“, რომლის მიზანი იყო ქვემო ქართლის, ფშავ-ხევსურეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სამცხე-ჯავახეთის 25-მდე სოფლის 150-მდე ბიბლიოთეკის წიგნებით მომარაგება (14,5 ათასი ლარი).

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

2020 წელს ჩატარდა დმანისში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროების კვლევა; გადამზადდა დმანისის მერიის ახალგაზრდულ სამსახურში მომუშავე 2 თანამშრომელი;

2020 წლის იანვარში, სტრასბურგში საერთაშორისო სემინარზე გაიგზავნა დმანისის ახალგაზრდული სამსახურის 1 და დმანისში მომუშავე ახალგაზრდული ორგანიზაციის 1 წარმომადგენელი.

2021 წელს, სამოქალაქო სექტორის ჩართულობით, შეიქმნა დმანისის ახალგაზრდული სტარტეგია და სამოქმედო გეგმა; საქართველოს წითელი ჯვრის კოორიდნირებითა და სააგენტოს მხარდაჭერით, შეიქმნა ახალგაზრდული საბჭო;

დმანისში გაიხსნება სააგენტოს ბალანსზე არსებული ახალგაზრდული ტრენინგცენტრი; შეიქმნება და დაინერგება დმანისის ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები.

**2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით დმანისის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- განხორციელდება ქ. დმანისის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია – 800 ათასი ლარი; სოფ. განთიადის სტადიონის რეაბილიტაცია – 200 ათასი ლარი;
- **2021 წელს დაგეგმილია მრავალფუნქციური მინისტადიონების მოწყობა სოფლებში:** ირგანჩაი (80 ათასი ლარი); ზემო კარაბულახი (80 ათასი ლარი); იფნარი (80 ათასი ლარი); ამამლო (80 ათასი ლარი); კამარლო (80 ათასი ლარი); ამჟამად მიმდინარეობს ობიექტების პროექტირება;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- 2021-2025 წლებში გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

# მართლწესრიგი

## დანაშაულის სტატისტიკა

**2017-2020 წ.წ., დმანისის მუნიციპალიტეტში, მძიმე (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:**

**ცხ. 1 დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.**

| მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 2<br>2 | 2<br>2 |
| მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)<br>მათ შორის, გახსნილი | 1<br>1 | 0<br>0 | 0<br>0 | 3<br>2 |
| გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 1<br>0 | 0<br>0 |
| ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 2<br>1 | 0<br>0 | 0<br>0 | 1<br>1 |
| ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 1<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| სულ<br>მათ შორის გახსნილი | 4<br>2 | 0<br>0 | 3<br>2 | 6<br>5 |

**ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა დმანისის მუნიციპალიტეტში**

| პრობაციონერთა სტატისტიკა | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა | 79 | 75 | 57 | 70 |
| არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| დანაშაულის რეციდივის შემთხვევები | 3 (3,8%) | 2 (2,7%) | 4 (7%) | 1 (1,4%) |
| სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წ.წ. კრიმინოგენური მდგომარეობა სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 13 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 9, ანუ 69%, რაც გახსნის საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 3-6 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი არსებითი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.




## პრობაციონერთა სტატისტიკა

**2017-2020 წ.წ. დმანისის მუნიციპალიტეტში, პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.**

2017-2020 წ.წ.-ში მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა წლების მიხედვით სტაბილურია და, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად არ იზრდება; განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები პროცენტულად მაღალი არ არის და 7%-ს (2019 წელს) არ აღემატება. გასულ 2020 წელს, მხოლოდ 1 ასეთი შემთხვევა მოხდა, რაც პრობაციონერთა 1,4%-ს შეადგენს. პრობაციონერთა შორის რეციდივის დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტში სტაბილური კრიმინოგენური მდგომარეობაა.

მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ პრობაციის სააგენტო, დმანისის მუნიციპალიტეტში, გეგმავს პრობაციონერთა სოციალური რეაბილიტაციისა და მათი დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების დანერგვასა და ეფექტიანად განხორციელებას.

**დმანისის საზოგადოებრივი ცენტრი**

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება დასახელდა. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია, მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო (მაგ. „ლიბერთი“ ბანკის, მაგთიკომის და სხვ.) მომსახურება, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით მაღალი პროფესიულ სტანდარტებით მომზადებული პერსონალი ახორციელებს; ამავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას. იგი გახდება ეფექტიანი ინსტრუმენტი თემის თვითორგანიზებისა და მის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისათვის.

დმანისი შეუერთდა იმ მუნიციპალიტეტების რიცხვს, სადაც საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს.

**2018 წლის 25 დეკემბერს გაიხსნა დმანისის საზოგადოებრივი ცენტრი.**

სამომავლოდ, საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა, აღჭურვა და პერსონალის მომზადება ეტაპობრივად მოიცავს მთლიანად მუნიციპალიტეტს, რაც ხარისხობრივად გაზრდის სახელმწიფო თუ მუნიციპალური მომსახურეობის ხარისხსა და მათ ხელმისაწვდომობას ადგილებზე, თვისებრივად ახალ ეტაპზე გაიყვანს ადგილობრივ თვითმმართველობას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ადგილებზე სწრაფი განვითარებისთვის.




# ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის დიდი პატივია, წარმოვადგენდე დმანისის, როგორც პირადად ჩემთვის, ისე მთელი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქალაქის, მერობის კანდიდატს.

პირობას გაძლევთ, მერად არჩევის შემთხვევაში, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, პირნათლად შევასრულებ დაკისრებულ მოვალეობას. თითოეული თქვენგანის უშუალო ჩართულობითა და თქვენთან შეთანხმებით, ჩვენს დმანისსა და მის სოფლებს გავხდით უფრო მწვანეს, ბარაქიანს, შემოსავლიანს, მიღებულ სიკეთეს კი თითოეულ ოჯახზე გადავანაწილებთ.

ყველაფერთან ერთად, მაქსიმუმს გავაკეთებ, რათა, ერთხელ და სამუდამოდ, აღმოიფხვრას სოფლებისთვის სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა; სრულად მოვაწესრიგოთ ინფრასტრუქტურა, მათ შორის სოფლის შიდაგზები, გაზიფიცირებისა და გარეგანათების საკითხები; სოფლების თემებში მოეწყოს სამედიცინო ამბულატორიები, სადაც 24-საათიან რეჟიმში იმუშავებენ ოჯახის ექიმები; აღმოვფხვრათ სახნავ-საძოვარი მიწების მოსახლეობის დაუკითხავად გასხვისების პრაქტიკა; ახალგაზრდებისთვის რაიონულ ცენტრში აშენდეს უნივერსალური სპორტული კომპლექსი, სადაც მოეწყობა დიდი და პატარა საცურაო აუზები, სხვადასხვა ტიპის სავარჯიშო დარბაზები; განვაგრძოთ ჩვენი მოსახლეობის სოციალური დახმარების პროექტები და ვიმუშაოთ ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ასათვისებლად.

წინ არაერთი გამოწვევაა, მაგრამ მთავარი მონდომება და თქვენი მხარდაჭერაა. ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

**„ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.